საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 2 21 0000453697

17/05/2021

შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის "დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასის) მათემატიკის მასწავლებლის მომზადების"პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო)სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს

კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2020 წლის 29 სექტემბერს შპს თბილისის თავისუფალმა აკადემიამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი №911299 "დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასის) მათემატიკის მასწავლებლის მომზადების"პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 2 ნოემბერს № 1058279 ბრძანების საფუძველზე, შპს თბილისის თავისუფალი აკადემია ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 30 დემებრის № 1240669 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2021 წლის 2 თებერვალს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უსდ-ში, ხოლო 2021 წლის 25 მარტს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამი სობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
	√			

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

2.3.საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4.ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 20 აპრილს სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ, პირველი სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 16 ხმით 0 წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასის) მათემატიკის მასწავლებლის მომზადების" პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 4 წლის ვადით 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასის) მათემატიკის მასწავლებლის მომზადების" პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 17 მაისის №453669 სხდომის ოქმის № 2 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები.

რეკომენდაციები:

ა) რეკომენდებულია, მოხდეს პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ოპტიმიზაცია შემდგომში მათი გაზომავდობის მისაღწევად.

ბ) რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში დაემატოს მდგრადი განვითარების საკითხები. აღნიშნული სწავლის შედეგის გათვალისწინება მოხდეს პროგრამის კომპონენტებში. განისაზღვროს აღნიშნული სწავლის შედეგის შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნული.
დ) რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს თემატიკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა საკუთარი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიმუშონ და წარმოადგინონ პროფესიული განვითარების გეგმა.
ე) რეკომენდებულია, დაიხვეწოს კომპეტენციების რუკა, რათა მკაფიო გახდეს პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობა. აღნიშნული კომპეტენციების რუკა უნდა განსაზღვრავდეს კონკრეტულად რომელი სასწავლო კურსი რომელი სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს.
გ) რეკომენდებულია, კონკრეტულად ამ საგანმანათლებლო პროგრამისათვის შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზნები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პროგრამის სპეციფიკა, დადგენილი იქნება სწავლის შედეგებზე დაკვირვების გეგმა.
თ) რეკომენდებულია, გაიდაიხედოს „ასაკობრივი ფსიქოლოგია და სწავლების თეორიები“ და „რესურსების შექმნა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მათემატიკის სწავლებისას“ სასწავლო კურსების შინაარსი და შესაბამისობაში მოვიდეს მიზანსა და სწავლის შედეგებთან.
ი) რეკომენდებულია, სასწავლო კურსის სილაბუსებში აისახოს ის სწავლის შედეგები, რომლებიც უზრუნველყოფდა პროგრამის სწავლის შედეგის - ავტონომიურობის კომპეტენციის განვითარებას სტუდენტებში.
ვ) რეკომენდებულია, პროგრამისთვის შემუშავდეს დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის პროცედურები, შეფასების ფორმა, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები;
ზ) რეკომენდებულია, სასწავლო კურსის დასახელება „ასაკობრივი ფსიქოლოგია და სწავლების თეორიები“ შეიცვალოს; კერძოდ, „ასაკობრივი ფსიქოლოგიის“ ნაცვლად მის დასახელებაში ფიგურირებდეს „განვითარების ფსიქოლოგია“.

კ) რეკომენდებულია, გადაიხედოს და დაზუსტდეს სასწავლო კურსების წინაპირობები, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის კომპონენტების ათვისების ლოგიკურობა.
ლ) რეკომენდებულია, შემუშავდეს სკოლებთან პრაქტიკის განხორციელების შეთანხმების ფორმა, სადაც დეტალურად გაიწერება პრაქტიკის პროცესში ჩართული მხარეების ვალდებულებები, სტუდენტთა რაოდენობა პრაქტიკის ადგილზე, სტუდენტთა პარტნიორ სკოლებში გადანაწილების პრინციპები, შეფასების მეთოდები და სხვ.
მ) იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო კურსებით გათვალისწინებული მიზნებისა და შედეგების მიღწევა, რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სწავლა-სწავლების მეთოდები მოერგოს კონკრეტული კურსის სპეციფიკას.
ნ) რეკომენდებულია, სასწავლო კურსის შეფასების თითოეული მეთოდი და კომპონენტი ითვალისწინებდეს კონკრეტული კურსის სპეციფიკას.
ო) რეკომენდებულია, სასწავლო კურსების - „რესურსების შექმნა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მათემატიკის სწავლებისას“ და „ასაკობრივი ფსიქოლოგიისა და სწავლების თეორიების“ შემთხვევაში, ჩართულ იქნას შესაბამის დარგში გამოცდილი აკადემიური პერსონალი, რათა უზრუნველყოფილ იქნას სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

რჩევები:

ა) გადაიხედოს პროგრამის მიზნის ფორმულირება და მისი ცალკეული პუნქტები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მიზნებისა და შედეგების ურთიერთბმის გამოკვეთა.

ბ) სასურველია, პროგრამის საჭიროებების დადგენის მიზნით ჩატარებულ კვლევაში მონაწილე პირებისთვის დასმულიყო კითხვები პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით, რაც პროგრამის შემუშავების საჭიროებასთან ერთად გამოკვეთდა პროგრამის შინაარსობრივ ასპექტებსა და საჭიროებებს.
გ) კვლევის შედეგების ვალიდურობისა და სანდოობის უზრუნველსაყოფად, სასურველია, პროგრამის საჭიროების დადგენის მიზნით ჩატარებულ კვლევაში აღწერილი ყოფილიყო შერჩევა - რა მეთოდილოგიით მოხდა კვლევაში მონაწილე პირთა შერჩევა და რამდენმა პირმა მიიღო კვლევაში მონაწილეობა.
ვ) სასურველია, პროგრამის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები შესაბამისობაში მოვიდეს კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებთან და ამოიშალოს კურსდამთავრებულის დოქტორანტურაში სწავლის გაგრძლების შესაძლებლობა.
ზ) სასურველია, პროგრამის თანამედროვე პროფესიული ლიტერატურით გამდიდრების მიზნით, მომზადდეს ე.წ. რიდერები, ჰენდაუთები და განთავსდეს ელექტრონულად აკადემიის ბიბლიოთეკის ვებგვერდზე.
თ) აკადემიის დონეზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ყველაზე გავრცელებული აქტივობა ტრენინგები და კონფერენციებში მონაწილეობაა. სასურველია, კოლეჯმა გადახედოს სტრატეგიას და გააძლიეროს აკადემიური პერსონალის სამეცნიეროკვლევითი საქმიანობის წახალისება.
ი) სასურველია, გაიზარდოს პროგრამის ბიუჯეტში სტუდენტური ღონისძიებებისა და აკადემიური განვითარებისათვის გამოყოფილი თანხები.
კ) სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით განსაზღვრული შეფასების სრული ციკლის დასრულება და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით პროცესების შემდგომი განვითარება.
ლ) სასურველია, პროგრამის შეფასება მოხდეს გარე დარგობრივი ექსპერტის ჩართულობით, რომელსაც წარმოდგენილი პროგრამის ანალოგიური პროგრამის განხორციელების გამოცდილება უკვე აქვს.
მ) პროგრამის სწავლის მიზნები ინოვაციური და აკადემიური უნარჩვევების, მოქალაქეობრივი შეგნებისა და დემოკრატიული ღირებულებების ნაწილში საჭიროებს შინაარსთან უფრო მეტ კავშირს.
ნ) პროგრამის ფორმატში, დაშვების წინაპირობების განსაზღვრისას გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი.
ო) პროგრამის ფორმატში დაწესებულების მიერ გამოყენებულია აბრევიატურა „ESTS“ გასწორდეს.
პ) პროგრამის ფორმატი მოითხოვს დაკორექტირებას სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის ნაწილში, კერძოდ, კურსდამთვრებულისთვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა არ არსებობს არც შესაბამის და არც მომიჯნავე სპეციალობის მიმართულებით.
ჟ) პრაქტიკის განხორციელების მიზნით მემორანდუმის გაფორმება რეგიონის იმ სკოლებთან სადაც რეალურად საჭიროა ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელი.
რ) აკადემიური თავისუფლების ფარგლებში შესაძლებელია სწავლებისა და შეფასების განსხვავებული მეთოდების გამოყენება.
ს) სტუდენტები კონსულტაციებს იღებენ კოლეჯში არსებული განრიგის მიხედვით, კარგი იქნება თუ საკონსულტაციო საათების განსაზღვრა მოხდება სასწავლო კურსების სილაბუსებშიც.
ტ) უფრო მეტი დეტალებისთვის სასურველია ბიუჯეტის ფორმატი მოიცავდეს სავარაუდო სტუდენტების რაოდენობასა და სწავლის საფასურის შესახებ ინფორმაციას.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 17 მაისს.
6. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2022 წლის 17 მაისი.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახევევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ